საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 1/18

ქ.თელავი „13" „01" 2017 წ.

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, გარე მობილობის წესით გადმომსვლელ პირთათვის რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის „თ" ქვეპუნქტის, 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანების, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის ბრძანება №122/ნ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, თესაუ-ს „ყველა საფეხურის სტუდენტთა სტატუსის მინიჭება, შეჩერება/შეწყვეტის, აღდგენისა და მობილობის წესით გადასვლის/გადმოსვლის/დაბრუნების შესახებ" (განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი № 5; 15.01.2016; დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოზე ოქმი № 1; 15.01.2016) დებულების, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 13 იანვრის N2/46 ბრძანებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შალვა ჭკადუას სამსახურებრივი ბარათის (13/01/2017წ; N23431) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში გარე მობილობის წესით გადმომსვლელ პირთათვის რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს შემდეგი გრაფიკით:

ა) გარე მობილობის პროცესში მონაწილე პირთათვის განცხადებისა და პირადი საქმის ასლების წარდგენის ვადები განისაზღვროს 2017 წლის 7 თებერვლიდან 2017 წლის 13 თებერვლის 16^{00} საათის ჩათვლით;

ბ) გარე მობილობის პროცესში მონაწილე პირთათვის წერილობითი თანხმობის წარდგენის ვადები განისაზღვროს 2017 წლის 7 თებერვლიდან 2017 წლის 14 თებერვლის 16^{00} საათის ჩათვლით;

გ) უნივერსიტეტის ფაკულტეტების მიერ გარე მობილობის დასკვნების უნივერსიტეტის კანცელარიაში წარდგენის ვადები განისაზღვროს 2017 წლის 7 თებერვლიდან 2017 წლის 14 თებერვლის 14^{00} საათის ჩათვლით;

დ) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სტუდენტთა გარე მობილობის შედეგები წარმოდგენილ იქნას 2017 წლის 15 თებერვლის ჩათვლით.

2. ბოლო ვაკანტურ ადგილზე, კონკურენციის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ სტუდენტს, რომელსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მეტი ქულა აქვს მიღებული;
3. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს;
4. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
5. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურს;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე: **/ალექსანდრე მოსიაშვილი/**